სამშაბათი 1919 წ. მაისის 13 № 102
ყოველდღიური გაზეთი

სამშაბათი 1919 წ მაისის. 13 № 102
ფასი 1 მან. და 50 კ.

# საქართველო

რედაქცია

**საგაზეთო მასალა** უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა **უფასოთ** იბეჭდება. **დაუბეჭდავი** საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია **ღიაა** დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კონტორა

„**საქართველოზე**“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—90 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 30 მანეთი. ცალკე № 1 მ. 50 კ. **განცხადების ფასი** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. **ხამგლოვიარო** განცხადება თითოჯერ 30 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 5 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

წერა-კითხვის საზოგადოება, ეთნოგრაფიული საზოგადოება, ვაჟთა მეორე გიმნაზია, ქალაქის თვითმართველობა, საადგილ-მამულო ბანკი საურთი-ერთო ნდობის საზოგადოება, სამეურნეო სამრეწველო ბანკი და ვაჭართა ბიურო ღრმა მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას რომ 8 მაისს საღამოს 5 საათზე ქუთაისში გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე

## კირილე ბესარიონის ძე ლორთქიფანიძე

რომლის გამოსვენება დანიშნულია 13 მაისს დილის 9 საათზე საკათედრო ტაძარში. დაკრძალვა მოხდება იმ დღესვე ბაგრატის ტაძ. გალავანში ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე საკუთარ ბინაზე!

(1—67—1)

ემილია, მარია, სიმონი და ივანე ჯიმშერაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი უძვირფასესი დედა

## სოფიო იოსების ასული ჯიმშეროვი

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. გამოსვენება მოხდება ოთხშაბათს მაისი 14 დილის 10 საათზე საკუთარი ბინიდან ოქრომჭედლების ქუჩა, № 6 რომის კათოლიკეთ მიძინების ეკლესიაში (შუა ბაზარი). დაკრძალვა იმავე დღეს სოლოლაკის ძველ სასაფლაოზე.

(1—2377—1)

## იყიდება სახლი

1-ლ სამილიციო ნაწილში, მეორე პოდგორნი პროხოდში, 4 ოთახი 140 საჟ. მიწა. იკითხეთ „პეტროვსკის“ ქუჩაზედ № 46. **ოდიშვილთან.**

## ქალაქ ქუთაისში

ალექსანდროვის და პუშკინის ქუჩის კუთხე (ცენტრში)

## ქირავდება ბაღი

## „ე ლ ი დ ი“

**საზაფხულო ბუფეტით პავილიონით და**

მთელი მოწყობილობით

პირობების გაგება შეიძლება წერილობით ქალაქ ხონში ჩხიკვიშვილთან და პირადათ ქალაქ ქუთაისში სასტუმრო „გრანდ ოტელში“.

6—2356—6

## სახელმწიფო თეატრი

სახელმწიფო თეატრის დირექცია საოპერო გუნდში მომღერლებს იწვევს.

ხმის გასინჯვის შემდეგ მომღერლები სახელმწიფო თეატრის სამსახურში ჩაირიცხებიან და ჯამაგირი დაენიშნებათ.

**ჩაწერა ჰსწარმოებს ყოველდღე, თეატრის კონტორაში,** დილის 11 საათიდან—2 საათამდე.

ხმებს პირველად გაუსინჯავენ მარტის 12-ს. 2 საათ.—4-ამდე.

(4—4)

## საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოება

ორშაბათს 12, სამშაბათს 13 და ოთხშაბათს 14 მაისს, 10-ს საათამდე

**მიიღება** სამეურნეო ბანკში (თბილისი, სასახლის ქუჩა, № 6) ხელის მოწერა საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების აქციებზედ.

**თითო აქცია ღირს 300 მან.** რომელიც შემოტანილ უნდა იქნას 3 ვადაში.

## ახლავე უნდა შემოტანილ იქნას

**თითო აქციაზედ პირველი ხვედრი ფული 50 მან.**

დანარჩენი ვადები გადაწყვეტილი იქნება საზოგადო კრებაზედ. თითო აქციაზედ ხარჯებისათვის (კვიტანციისათვის მარკა და სხვა) უნდა შემოტანილ იქნას აგრეთვე თითო მანათი. ყოველ ცნობებს მიაწვდის აქციონერთ **დამფუძნებელთა რწმუნებული სამეურნეო ბანკის დირექტორი პ. ა. გოთუა.**

(3—66—2)

ქართული სამუსიკო და საქველმოქმედო საზოგადოებანი

## სახელმწიფო თეატრში

პარასკევს, 16 მაისს, გაიმართება

# სასულიერო კონცერტი

## ახალი ლიტურღია

მუსიკა დ. არაყიშვილისა

**ბორჯომის სახელმწიფო ქონების სამმართველომ დაიწყო**

## ნახშირბადის გაზის წარმოება

გაზი გაიყიდება საგანგებოდ ბალონებში და გირვანქა 25 მანეთი ეღირება. (ჭურჭლის ძევლად მყიდველმა ფული უნდა დასტოვოს). თუ მყიდველი თავის ჭურჭელს წარმოადგენს მაშინაც გირვანქა გაზი ეღირება 25 მანეთად.

ბორჯომის სახელმწიფო ქონების მოურავი ინჟინერი **გ. ხუნდაძე.**

1—2281—1

ქ ა რ თ უ ლ ი ლ ა ტ ა რ ი ა.

**უნივერსიტეტი—მეცნიერების ტაძარია. თეატრი—ხელოვნების ტაძარი.**

<>

**მეცნიერების ტაძარში—გონება ვითარდება. ხელოვნების ტაძარში—სული ფაქიზდება.**

<>

**შეიძინეთ ქართულ ლატარიის ბილეთები.**

1—69—1

## მიდი-მოდიან

უტყუარის ცნობით, ინგლისის ჯარი და მისსია ბარგს ჰკრავს და მიემგზავრება. ამის ნამდვილი მიზეზი ჯერ არ ვიცით და არც მისი ოფიციალური მოტივები მოგვსმენია. ისე-კი ამის ახსნა განმარტებისთვის ფერადი და ნაირ-ნაირი მოსაზრებები გონების თვალწინ ერთიმეორეზე გარბიან. თუმცა მათი გადმოშლა ფრიად საინტერესოც იქნებოდა, მაგრამ ამ ჟამად ამას არ გამოუდგებით.

ჩვენთვის სახელდახელო აუცილებლობას წარმოადგენს საკუთარი პოზიციის სწრაფი გამორკვევა რომ მოვლენათა კალეიდოსკოპურ ცვალებადობაში დაახლოვებით სწორი გეზი ავილოთ და მართვა-გამგეობის ყოველდღიური ენერგია მაქსიმალურად გამოვიყენოთ ქვეყნის მთლიანობისა და სუვერენობის დასაცავად.

შვიდი თვეა, რაც ინგლისი ამიერკავკასიაში და უმთავრესად საქართველოში ეწყობოდა. დიდ-ძალი ჯარი ჩამოიყვანა აურაცხელი თოფ-ზარბაზნით და ამუნიციით. სულ უკანასკნელ დღემდე, ახალ ახალი ძალა ემატებოდა აქ მოსულებს. ყველაფერი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა,—რომ ინგლისი აქ მკვიდრად იდგამდა ფესვებს და სერიოზულ მოქმედებისთვის ემზადებოდა. ამერ-კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოებისადმი ამ ბოლო დროს ახდილი შეურიგებლობა გამოამჟღავნა. უფრო გარკვევით შეუდგა ინგლისის წარმომადგენლობა თავის ფაქტიურ და იურიდიულ მდგომარეობის ჩამოყალიბებას. ამ მიმართულებით აზერბაიჯანის ტერიტორიაზედ და ბათომის მხარეში პროკლამაციებიც კი გამოაკვრევინა. მთელი რიგი მართლაც შეუწყნარებელი ფაქტებით საქართველოს მთავრობასთან ურთიერთობა გაამწვავა. შეიქმნა ისეთი ფსიხოლოგიურ მდგომარეობა მთელს ამიერ-კავკასიაში, რომ ყველა მოელოდა შეხის გავარდნას. ამ დროს სიმშვიდე სწყდება და ოფიციალური ცნობა მოდის, რომ ინგლისი საქართველოს და ამიერ-კავკასიას სტოვებს. მის სამაგიეროდ იტალია ჩამოდის. რა იცვლება ჩვენთვის ამ ფაქტით? საქართველოს სრული საბუთი ჰქონდა იმ თავითვე ნდობა და იმედი დაეჭირა, რომ გამარჯვებული ანტანტი აღდგენილს უფლებებში მას განამტკიცებდა.

თვით ანტანტმა მისცა ამის საბუთი ყველა ეროვნებას და სხვათა შორის ქართველ ერსაც. რომ პრინციპიულად ეს ასეა, ამას მოწმობს ის დეპეშა, რომელიც ლონდონის კაბინეტმა ამ ორიოდე თვის წინად საქართველოს მთავრობისთვის გამოგზავნა და ისიც, რომ გამარჯვებულ ანტანტს არავის თავისუფლება ჯერ არ გაუუქმებია.

ამგვარის ნდობით და რწმენით შევყურებთ ანტანტის ყოველ წევრს, სულერთია, ინგლისია იგი თუ ამერიკა, საფრანგეთია თუ იტალია. მართალია, საკითხის პრინციპული მოგვარება არ გულისხმობს, რომ შეუძლებელი იყოს მხარეთა შორის შეხლა-შემოხლა და უსიამოვნება, როდესაც ისინი ერთ სივრცეში ერთმანეთს სხეულ სხეულ შეხვდებიან.

რაც უფრო უცხოა და დაშორებული ეს მხარეები ერთმანეთს ფსიხოლოგიით და ტრადიციით, რაც მეტია ერთმანეთის ვითარების ფაქტიური უცოდინარობა, მით უფრო აუცდენელი და მით უფრო მწვავე ხდება ეს შეხლა-შემოხლა, რადგან შემთხვევით ელემენტებს, მესამე პირის ჩარევას მეტი გავლენა ეთმობა. ყოველივე ამას ადგილი ჰქონდა ჩვენსა და ინგლისის წარმომადგენლებს შორის.

სათქმელი უნდა ითქვას: ქართველი ხალხის უფლებრივი შეგნება და ეროვნული გრძნობა არა ერთჯელ შეილახა ინგლისის მისიის ზოგიერთი მოქმედებით; ჩვენც გვიპასუხნია ამაზე მწარედ და დინჯად, ყოველთვის ჩვენი ეროვნული ღირსების მიხედვით, მაგრამ ამასთანავე ყოველთვის ვფიქრობდით, რომ ეს გარდამავალი იყო და ერთმანეთს დაუახლოვდებოდით თუ არა, ამგვარ შეხლა-შემოხლას ადგილი არ მიეცემოდა ამ მხრივ ჩვენა გვგონა, რომ შვიდი თვის მანძილმა, რომელიც ინგლისმა აქ დაჰყო, ჩვენდა სასარგებლოთ იმუშავა

რა რწმენითაც აქ შევეგებეთ ინგლისს, იმ რწმენითაც შევხვდებით მის გამგზავრებას; ეს რწმენაა, რომ ინგლისი საქართველოს დამოუკიდებლობას დასტურს დასცემს და რუსეთს სამუდამოთ გზას შეუკრავს კავკასიონის ქედს გადმოდგეს,—რასაც თვით ინგლისის ძირითადი საიმპერიო პოლიტიკაც მოითხოვს.

ამავე გრძნობით და რწმენით ვეგებებით იტალიასაც. იტალია ვერ უმტყუნებს ვერც ანტანტის სახით მიღებულ დავალებას პატარა ეროვნებათა მიმართ და ვერც თავის დიდებულ ტრადიციას ეროვნულ თავისუფლების კულტისა და აღდგენის საქმეში. საქართველო უცვლელი რჩება ანტანტის წარმომადგენლობის მორიგ ცვლილებაში. იგი ხარბად და უფრო გადაწყვეტით, ვიდრე ოდესმე, იცავს თავის მთლიანობას და სუვერენობას. მისი პოლიტიკა და ურთიერთობაც აქედან გამომდინარეობს და ამით განისაზღვრება.

ამასთანავე საქართველოს შესწევს ძეელი და ხალვათი ერის სულიერი მორჭმულობა, რომ სიფიცხე აირიდოს და აუცდენელ შეხლა-შემოხლას მაღლიდან გადაუაროს.

## ინგლისელთა წასვლა
### ტომსონის დეპეშა მთავრობას.

**შაბათს 10 მაისს საქ. მთავრობის თავმჯდომარემ გენ. ტომსონიდან დეპეშა მიიღო, რომ ბრიტანიის ჯარი სტოვებს ამიერ-კავკასიას და მათ მაგიერ მოვლენ იტალიელთა ჯარები. და რომ თვით ტომსონი ინგლისში მიემგზავრება, მის მაგიერ გენ. კიორი დაინიშნება.**

## იტალიის მისიის ჩამოსვლა

**12 მაისს განსაკუთრებული მატარებლით ჩამოვიდა იტალიის მისია პოლკოვნიკ გაბას მეთაურობით. ამ დროს თბილისის სადგურის ბაქანზედ გაწყობილი იყო საპატიო ყარაული სამხედრო სამუსიკო ორკესტრით.**

**მისიას შეეგებნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი, მისი ამხანაგი კ. საბახტარაშვილი, სამხედრო მინისტრის ამხანაგი გენერალი გედევანიშვილი და სხვა.**

**ურთიერთი მისალმების შემდეგ მისიის მეთაური პოლკ. გაბა, მისიაში მყოფი სავოის პრინცი საგ. საქმეთა მინისტრ ე. გეგეჭკორთან ერთად მიესალმენ საპატიო ყარაულს და გაემართნენ მათთვის განმზადებულ ბინებზედ. მისიასთან იმყოფება 19 იტალიელი ოფიცერი და 50 ჯარის კაცი.**

## დამფუძნებელი კრება
### 10 მაისის სხდომა

შაბათს 10 მაის საღამოს 7 საათზე შესდგა დამფუძნებელ კრების საგანგებო სხდომა, რომელზედაც განხილულ იქმნა საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება მოკავშირეთა სარდლობისა და საქართველოს შორის შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით ილაპარაკეს გრ. გიორგაძემ და არსენიძემ, სოციალისტ-ფედერალისტთა ს. მდივანმა და სოც.-რევ. ი. გობეჩიამ.

ორატორების სიტყვებში სჩანდა ერთიან აზრი, რომ საქართველოს მთავრობა და დამფუძნებელი კრებამ შეუდრეკელათ უნდა დაიცვან საქართველოს დამოუკიდებლობა და მისი სუვერენული უფლებები და საქართველო ხელს გაუწოდებს მხოლოთ იმ უცხო ძალას, რომლის მოქმედებას საფუძვლად ექნება ეს პრინციპები.

ეროვნულ - დემოკრატიული ფრაქციის სახელით ილაპარაკა სპირიდონ კედიამ (რომლის სიტყვასაც ხვალინდელ ნომერში დავბეჭდავთ).

კამათის დასასრულ კრებამ მიიღო სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ წარმოდგენილი შემდეგი რეზოლიუცია.

**რეზოლიუცია.**

„მოისმინა რა მთავრობის მოხსენება საქართველოს საგარეო მდგომარეობის შესახებ—დამფუძნებელი კრება სავსებით იზარებს მთავრობის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია, საქართველოს სუვერენული უფლებების და მისი არსებითი, სასიცოცხლო ინტერესების დაცვისაკენ.

დამფუძნებელი კრება დარწმუნებულია რომ ეს ინტერესები ჩვენის რესპუბლიკისა არ ეწინააღმდეგება ჩვენს ქვეყანაში მსოფლიო ომის შემდეგ შემოსულ შეთანხმების სახელმწიფოებისა და, უპირველეს ყოვლისა, ინგლისის არსებით ინტერესებს იგი დაიმედებულია, რომ ამ ნიადაგზე შესაძლებელია განხორციელება ჩვენი ახალ აღორძინებული დემოკრატიის თანამშრომლობისა მსოფლიო უძველეს დემოკრატიულ სახელმწიფოებთან.

დამფუძნებელ კრებასა სწამს, რომ ჩვენი მთავრობის ზრუნვა, ამ მხრივ მიმართული, შეხვდება სრულ თანაგრძნობას აქ ჩამოსულ უცხო ძალის მხრივ რომელიც საბოლოოდ დარწმუნდება იმაში, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომლის განუყოფელი ნაწილი უნდა შეიქნეს სამუსლიმანო საქართველო, სურს და შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა და რომ მხოლოდ ამ პრინციპის ცნობით შეიძლება საქართველოს დემოკრატიის მეგობრული განწყობილების მოპოება.

დამფუძნებელი კრება მთელი ერის სახელით აღიარებს, რომ ქართველი

# უკანასკნელი ცნობები

**საქართველოში მყოფი ინგლისის ჯარი საქართველოს საზღვრებიდან გადის მის ნაცვლად იტალიელთა ჯარი შემოვა.**

**გუშინ, 12 საათზე პოლკ. გაბბას მეთაურობით თბილისში იტალიელთა მისია ჩამოვიდა.**

**ინგლისის ჯარი მესოპოტამიიდან და ინდიეთიდანაც სამშობლოში ბრუნდება.**

**გერმანულ - ჩეხეთის მთავრობამ მოკავშირეებს პროტესტი განუცხადა იმ ძალადობისათვის რომელსაც ჩეხები აწარმოებენ გერმანულ ჩეხების მიმართ.**

**იუზოვკის მიმართულებით საბჭოთა ჯარი წინ მიიწევს ხოლო ჩრდილოეთით კი უკან იხევს.**

**აბაშეთის მისიამ აბაშეთისათვის საფრანგეთის პროტექტორატი მოითხოვა.**

ხალხი მთელი თავის ძალღონით დაუჭერს მხარს მთავრობას რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაცვაში, რომლის უფლებები საქართველოს დემოკრატიის ბრძოლითა და სისხლით არის მოპოვებული.

და გადადის მორიგ საკითხზე.

რეზოლიუცია ერთხმად იქმნა მიღებული.

## საქართველოს ყუბანელ კონსულის განცხადება

ამას წინად თბილისის პრესაში დაისტამბა ცნობა, რომელშიც ნათქვამი იყო: „მოხალისეთა სარდლობამ წინადადება მისცა ყუბანში მყოფ ქართველობას, რომ მათ სამი დღის განმავლობაში დაეტოვებინათ ყუბანის საზღვრები, კონსული ამას შესახებ სწერს რომ ხსენებული ცნობა სინამდვილეს არ შეიცავს.

„მოხალისეთა ჯარის სარდლობამ მომცა წინადადება მე და ჩემს თანამოსამსახურეთ, როგორც საქართველოს კონსულ გავსულიყავი სამი დღის განმავლობაში ყუბანისა და შავი ზღვის ოლქებიდან, რაც შეეხება იქ მცხოვრებ ქართველების და სამხედრო ტყვეთა საქართველოში გადმოყვანის საქმეს, არა ერთხელ აღვძარი თხოვნა მთავარ სარდლის წინაშე, მაგრამ ნება არ დამრთეს. აუარებელი ქართველი ტყვეები, გადმოხვეწილები და სხვანი ნავთსადგურში სცხოვრობენ მშიერ-მწყურვალნი, ვინაიდან გამოსვლის ნებას არ აძლევენ“.

## უ ზ ა ნ ი

**ურალის ჯარის წარმომადგენელნი.** ეკატერინოდარში ურალის ჯარის წარმომადგენელნი ჩავიდნენ.

კანონმდებელ რადის წევრთა საინფორმაციო თათბირი შესდგა, სადაც წარმომადგენლებმა მოახსენეს კრებას ურალის მცხოვრებთა სულიერ განწყობილების და ურალის საერთო მდგომარეობის შესახებ.

## ოსმალთა აგენტების მოქმედება

ბათუმის გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოში“-ში დასტამბულია არტაანის აჯანყების „გმირის“ სივერსბეი ათაბაგ-ქობლის წერილი თეიმურ-ბეი ხიმშიაშვილისადმი მიწერილი.

მოგვყავს ეს წერილი მთლიანად.

„თეიმურ-ბეი!..

მე გუშინ არტაანუჯიდან ჩამოველ—გუშინ ქართველებმა სერზები და არტაანის მაჰმადიანური ნაწილი დაიკავეს. რადგანაც ყველა ხიდები დავწვით, შესაძლებელია ქართველები მდინარეზე არც კი გადმოსულან. წუხელის ოლთიდან ჯარებს მოველოდით! ტყვიის მფრქვევლები უნდა ჩამოეტანათ.

ამ სამი დღის წინად ბათომიდან ამბავი მომივიდა რომ კონსტანტინოპოლში ყარსისა და ბათუმის წარმომადგენლებს ელიან.

თითო დელეგატისათვის აზერბაიჯანის მთავრობამ 300.000 მანეთი გადასდო, რასაც კონსტანტინოპოლში და პარიზში მისცემენ. ეს ყველა სხვა ხარჯების გარეშე მიეცემა. გთხოვთ ჯემალ-ფაშასთან ერთად ჩამობრძანდეთ და აქედან ხომით ან თუ გზა ხსნილია ბათუმით კონსტანტინეპოლში წავიდეთ. ყოველ შემთხვევისათვის შემატყობინეთ გიცადოთ თუ არა. თუ საბუთები არ წაგიღიათ, მაშინ ბათუმში მახმედ-ბეის ექნება ამ საბუთებისათვის კაცი უნდა გააგზავნოთ და სანამ ჩვენ შავშეთიდან ბორჩხაში ჩავალთ საბუთებიც იქ დაგვხვდება. ჩვენი არტაანის ბეგები ყველანი გადარჩნენ. მთელი სიმდიდრე გადაარჩინეს და გელიაში გიდაიტანეს. ჯერჯერობით მშვიდობით. ს ათაბეგი.

გუშინ კიდევ იყო ოფიცრებთან ნოზამი, ადგილობრივი მცხოვრებნი გაიქცნენ

# ქრონიკა

**ი. ი. ოცხელის პანაშვიდი.** კვირას 11 მაისს თბილისის კათოლიკეთა მიძინების ტაძარში, ქუთაისის მე 2 გიმნაზიის კურს დამთავრებულ სტუდენტთა მიერ გადახდილ იქმნა ორმოცის პანაშვიდი დაუვიწყარ აღმზრდელ-პედაგოგის ი. ი. ოცხელისა.

პანაშვიდს დაესწრნენ: განსვენებულის მიერ აღზრდილი სტუდენტები და მისი პატივისმცემელნი.

**დაკარგული ბავშვი** ორთაჭალის საბავშო პრიუტიდან ვიღაცას წაუყვანია ცხრა წლის ვაჟი კოლა კევლიშვილი. მისი დიდედა მარიამ კევლიშვილისა წამყვანსა სთხოვს, შეატყობიოს (ნაძალადევში, რუსთაველის მეიდანი, № 7) ბავშვი ცოცხალია, თუ არა,—და თუნდაც ნუ დააბრუნებს.

**გამოვიდა „თეატრი და ცხოვრება“-ს** მე-5 ე ნომერი, ჟურნალში ნაირი მასალაა მოთავსებული, მრავალი სურათით შემკული. დაბეჭდილია აგრეთვე საქართველო სომხეთის ომიდან „განახლებული სიცოცხლე“ ვ. გუდიაშვილის ნახატებით თითო ნომერი—5 მან.

**თამარობის დღეს**, 14 მაისს, (ოთხშაბათს) დიდუბის ეკლესიის გალავანში, „განათლების“ საზოგადოება ჩვეულებრივ ჰმართავს საღამოს თავის სკოლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ.

## განათლების სამინისტროში

**ტანვარჯიშობის მთავარ ინსტრუქტორის თანამდებობა.** განათლების სამინისტროსთან არსდება რესპუბლიკის ყველა სკოლებთან არსებულ ტანთსავაშო განყოფილებათა მთავარ გამგის თანამდებობა 1919 წლის 1 ივნისიდან მთავარ გამგეს თვიურ ჯამაგირად 1400 მან. დაენიშნება.

**საშუალო სასწავლებელთა რეორგანიზაციისათვის.** დღეს საღამოს დანიშნულია სახალხო განათლების სამინისტროს საბჭოს სხდომა, რომელსაც დაესწრებიან თბილისის ყველა საშუალო სასწავლებელთა გამგენი და სხვა გამოჩენილი პედაგოგები. კრების საგანია საშუალო სასწავლებლის რეორგანიზაციათა საკითხი.

## ქალაქის გამგეობაში

**ექიმების დამტკიცება** ქალაქის გამგეობის დადგენილებით, ის ექიმები რომელნიც ქალაქის საავადმყოფოებში მუშაობენ და შტატში შეტანილი არ არიან, დამტკიცებულ იქნებიან თანამდებობაზე.

**ქალაქის გამგეობის წევრის რუხაძის** განცხადება. ქალაქის გამგეობის წევრმა რუხაძემ განცხადება შეიტანა გამგეობაში, რათა ის თანამდებობიდან გაანთავისუფლონ. გამგეობამ სთხოვა მას დარჩეს თავის თანამდებობაზე.

**სახალხო კონცერტები** ქალაქის გამგეობამ ნება დართო ქართულ მუსიკალურ საზოგადოებას გამართოს სახალხო კონცერტები მთელ ზაფხულის განმავლობაში ალექსანდრესა და პუშკინის ბაღში.

**სამსახურიდან განთავისუფლება** სარევიზიციო კომისიის თავმჯდომარე ჩილაჩავა, თანახმად მისი წერილობითი თხოვნისა, თანამდებობიდან განთავისუფლებულ იქმნა.

## ბოროტ-მოქმედებანი.

**ქურდობა.** 10 მაის ღამით მკერავ ფეშელევის მაღაზიიდან 3500 მან. სხვა და სხვა ნივთები მოიპარეს. ეჭვით დააპატიმრეს მაღაზიის დარაჯი და მოსამსახურე ფაშალიშვილი.

10 მაის საღამოს 10 საათზე მალშევიცკის ბინიდან (არტილერიის ქუჩა № 17) 15,000 მან. ფული და სხ. დასხ. ნივთები მოიპარეს.

**თავის მოკვლის განზრახვა.** 11 მაისს საღამოს 8 საათზე (ყაზბეგის ქუჩა № 9) წერეთელ და ლორთქიფანიძესთან სტუმრად მყოფ პოდპოლკ. ა ა. ვაჩნაძემ რევოლვერით განზრახ თავი დაიჭრა. ავადმყოფი მიხაილოვის საავადმყოფოში წაიყვანეს.

**ქურდობა.** 8 მაისს ღამის 12 საათზე პ. ტერ-ოვაკენიანცის საწყობიდან (ახალი არსენალის ქუჩა № 7) ბოროტ-გამზრახველებმა 10,000 მანეთის სხვა და სხვა საქონელი მოიპარეს. ეჭვით დააპატიმრეს ე. მანუკონიანცი და შ. ელვაკიძე.

## ლტოლვილ. ცხოვრებიდან

**სომეხ-ლტოლვილთა წასვლისთვის.** სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს წარმომადგენელი საქართველოში და ჩრდილოეთ კავკასიაში აწყობს სომეხ-ლტოლვილთა სამშობლოში დაბრუნების საქმეს.

**ახალქალაქის ლტოლვილთა დაბრუნება.** ახალციხის მაზრის ლტოლვილები რიცხვით 500 კაცამდე, რომელნიც მანგლისში იმყოფებოდნენ თავიანთ სამშობლოში დააბრუნეს.

**ბათუმის ლტოლვილთა დაბრუნება** ბათუმის ოლქის ლტოლვილნი, რომელნიც მანგლისში იმყოფებოდნენ, ამ დღეებში სამშობლოში დააბრუნეს.

## სამხატვრო ქრონიკა

**ვასილ ბარნოვმა** დასწერა ახალი მოთხრობა „კვრძო ბედნიერება“. მოთხრობა პატარაა და კარგი იქნებოდა ვისმეს ცალკე გამოეცა მწერლის დღესასწაულის აღნიშვნის დროისთვის.

## ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია

**სამოსამართლო უფლებრივ კომისიის სხდომა**

სხდომა გაიხსნა მაისის ათს დილის 11 საათზე.

დაესწრნენ: საქართველოს მხრივ დემიდოვი და კვირკველია; სომხეთიდან დოლუხანოვი და ბარხუდაროვი, აზერბაიჯანიდან ვარსოვიჩი და მთიელთაგან ფარალბეკ-ახუნდოვი.

თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა დ. ვ. კვირკველია.

**ვარსოვიჩი** აღნიშნავს რომ კომისიის მუშაობის საგანს უნდა შეადგენდეს შემუშავება ხელშეკრულებათა დ ტრაქტატებისა: 1) დამნაშავეთა გაცემის; 2) სასამართლოს დადგენილებათა ასრულებისა და 3) სასამართლოთა დამოკიდებულების შესახებ.

**დემიდოვი** წინადადებას იძლევა განიხილონ 1) კონფერენციის პროექტი ამიერ-კავ. რესპუბლიკათა სასამართლოების საშუამავლო დამოკიდებულების შესახებ; 2) კონვენცია დამნაშავეთა გაცემის შესახებ.

**ბარხუდაროვი** აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკ. რესპუბლიკათა სასამართლოთაშორის მიწერ მოწერა უნდა ხდებოდეს ერთ ენაზე და ასეთ ენათ ასახელებს რუსულს.

**ვანსოვიჩს** შესაძლებლად მიაჩნია მიწერ-მოწერა ხდებოდეს სახელმწიფოებრივ ენაზე, ხოლო იქვე უნდა იყოს ნათარგმნი რუსულ ენაზე.

**დემიდოვი** წინადადებას იძლევა დარჩეს ორივე ვარიანტი პროექტისა.

წინადადება მიღებულია.

**დემიდოვი** წინადადებას იძლევა 2 პუნქტს, რომელშიაც აღნიშნულნი არიან ის თანამდებობანი, რომელთაც ნება ეძლევათ უშუამავლო დამოკიდებულებისა, მიემატოს მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობანიც.

**ვანსოვიჩი** წინადადებას იძლევა მიემატოს აგრეთვე სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობაც.

**ფარალ-ბეკი-ახუნდოვი** მიუთითებს, რომ პროექტში აღნიშნული არ არის მთიელთა რესპუბლიკა და წინადადებას იძლევა პროექტში ჩაემატოს მთიელთა რესპუბლიკაც.

**ვანსოვიჩს** საჭიროდ მიაჩია კონვენცია, შეიკრას ცალ-ცალკე ყოველ ორ რესპუბლიკათა შორის.

**დემიდოვი** წიაალმდეგია ამისი და უპირატესობას აძლევს ერთად ყველა რესპუბლიკათა შორის კონვენციის დადებას.

**დოლუხანოვს** საჭიროდ მიაჩნია შეიცვალოს 7 მუხლი რომლის ძალითაც ქალალდების გადაგზავნ-გადმოგზავნის ხარჯები აწვება იმ რესპუბლიკას, რომელსაც მიჰმართავენ. მას ეს შესაძლებლად მიაჩნია მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებში.

**დემიდოვი.** წინადადებას იძლევა კონვენცია ძალაში შედიოდეს დღიდან მის თბილისში გამოცხადებისა რატიფიკაციის გაცვლა-გამოცვლის დროს.

**ვანსოვიჩი.** აღნიშნავს რომ, იმ შემთხვევაში თუ კონვენციაზე უარი განაცხადა რომელიმე მხარემ, კონვენცია ძალაში დარჩეს დანარჩენ მხარეთათვის მაინც.

---

შემდეგ კომისია ანდობს სასამართლოთა შორის უშუამავლო დამოკიდებულების კონვენციის მოხსენებას დემიდოვს; კონვენციის დამნაშავეთა გაცემის შესახებ—კონვენციის მოხსენებას ანდობს ვანსევიჩს ხოლო მოხსენებას—სასამართლოს დადგენილებათა აღსრულების შესახებ—ბარხუდაროვს.

## საზავო ხელშეკრულების პირობები

### ინგლისური პრესა.

(გაგრძელება).

ამ მიზნით ზარალის ანაზღაურების კომიტეტს 40 პროცენტი დაუყონებლივ ბონებით უნდა მიეცეს. იმ თანხის რაოდენობას, რომელიც გერმანიამ ზარალის ასანაზღაურებლად უნდა გადაიხადოს, განსაზღვრავენ და აუწყებენ საქმის გერმანიას საქმის მოსმენის შემდეგ, არა უგვიანეს 1921 წლის მაისის 1-სა, ზარალის ანაზღაურების მოკავშირეთა კომისიის სხდომაზე. იმავე დროს შეადგენენ 30 წლის განმავლობაში გერმანიის მიერ ფულის გადახდის აღრიცხვას. გერმანია აღიარებს, რომ დაუყონებლივ უნდა გადაიხადოს მთელი ზარალის ასანაზღაურებლად გადადებული პირველი ნაწილი. გერმანია მოვალეა 2 შემდეგი წლის განმავლობაში 1000 მილიონი გადაიხადოს ოქ-

## მოხსენება ალექსანდრე ჯაბადარისა

**შესახებ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მუშაობის პროგრამისა, წაკითხული პალატის კრებაზე 5 მაისს 1919 წ.**

**საზოგადო შენიშვნა.**

ევროპის ომმა ხელი შეუწყო საქართველოს, განთავისუფლებულიყო რუსეთის მონობისაგან და 1918 წ. 26 მაისს საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ოთხწლეიწადანახევრის მწვავე ომმა მთლად შეარყია როგორც შინაური პოლიტიკური მდგომარეობა ომში ჩართულ სახელმწიფოებისა, აგრეთვე საგარეო ურთიერთშორისი დამოკიდებულება, შეარყია ეკონომიური მდგომარეობა ამ სახელმწიფოში, ხოლო რუსეთი უფსკრულის პირამდე მიიყვანა. სამწუხაროდ, რუსეთის ეკონომიურმა და პოლიტიკურმა გაბ ოწნამ საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობაზედაც იქონია გავლენა, რადგან ჩვენ დამოკიდებული ვიყავით რუსეთისაგან, რომლის მთავრობა გულმოდგინედ სცდილობდა დაეხშო ჩვენთვის კარი ეკონომიურ და კულტურულ განვითარებისა.

წელიწადი სრულდება რაც საქართველო თავის თავის ანაბარად არის. ამ ხნის განმავლობაში, დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა დღითი დღე მწვავდება და თან და თან ვრწმუნდებით, რომ ჩვენც უფსკრულისაკენ მივყევართ იმ დაუდევრობას და უზრუნველობას, რომელსაც ჩვენი სხეულში იყო გამჯდარი, და ახლაც ვერ დავეხწევია თავი ამ სნეულობისაგან, თუმცა ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ხსნა ჩვენი მხოლოდ ვაჭრობისა და მრეწველობის შექმნაში და განვითარებაშია. ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველივე ჩვენი ძალა ამას უნდა მოვახმაროთ, თუ გვინდა შევინარჩუნოთ დამოუკიდებლობა, არსებობა, თუ გვინდა გავაუმჯობესოთ ჩვენი კულტურა.

დღეს საქართველო მძიმე ავადმყოფია. მას მოარჩენს მხოლოდ დაუღალავი მუშაობა. ავადმყოფის სიკვდილისაგან გადასარჩენათ იქნება საჭირო იყოს დოსტაქრის ნესტარი ამოსაჭრელად დაავადებულ სხეულიდან იმ ნაწილებისა, რომლებიც ჰხრწნიან სხეულს. ეს უნდა გავზედოთ, თუ გვინდა ავადმყოფის განკურნება და მისი სიცოცხლე.

ამ ომმა შეარყია არამც თუ მთელი ევროპა, არამედ მთელი ქვეყანაც. ამ შერყევას გაუძლებს, მოიკიდებს ფეხს და განვითარდება მხოლოდ ის ერი, რომელიც მხნედ შეებრძოლება შექმნილ მდგომარეობას და განავითარებს, განაცხოველებს და ასწევს წარმოებას, განათლებს ამისათვის საჭირო ცოდნას, სწავლას.

რასაკვირველია, მეტი ენერგია, მეტი მუშაობა, მეტი უნარის გამოჩენა დასჭირდება იმ ერთ აწუ სახელმწიფოებთ, სადაც მრეწველობა პრიმიტიულ მდგომარეობაში იყო

საქარხნო მრეწველობა საქართველოში თითქმის არ არსებობს: რიგიანად გამოკვლეულიც-კი არ არის რის პატრონია საქართველო, რა მრეწველობის მოწყობა შეიძლება, რა მადნეულობა არის, რამდენი, რას წარმოადგენს ყველა ეს და სხვა. რასაკვირველია, ასეთ მდგომარეობაში მყოფ საქართველოს საჭიროება ენერგია და შრომა დასჭირდება შესასწავლად ეკონომიური მდგომარეობისა, სიმდიდრისა, გარკვეული სამრეწველო პროგრამის შესადგენად

ყოველივე ის, რაც გადაელობება ჩვენს შესრულებას, იქნება საწამლავი ერისა, ყოველივე დამაბრკოლებელი მიზეზი მთავრობის მიერ სათავეშივე მოსპობილ უნდა იქმნას, თუნდ ამისათვის დასჭირდეს მას სასტიკი ზომების მიღება თვით ის დოსტაქრის დანაც, რომელზედაც ზევით მოგახსენეთ.

აი ამ მძიმე დროს არსდება საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა. პალატას ძნელი, რთული, მრავალმხრივი სამუშაო ექნება. დღევანდელ პირობებში პალატას დასჭირდება გარდა ვაჭრობა-მრეწველობის პროგრამის შემუშავებისა, უფრო მძიმე, უსიამოვნო მუშაობა მრეწველობისათვის ისეთი პირობათა შესაქმნელად, როდესაც გაიაბედი გახდება ეს მრეწველობა.

თებერვლის უკანასკნელ რიცხვში ლონდონში მოხდა მრეწველთა საბჭოთა წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელზედაც მივიდა ინგლისის პრემიერი ლლოიდ-ჯორჯი. ეს იყო პარიზის საზავო კონფერენციაზე წასვლის წინა დღეებში. ამ კონფერენციაზე ლლოიდ-ჯორჯმა, სხვათა შორის სთქვა: „საჭიროდ დავინახე მოვსულიყავ აქ, რომ მეთქვა თქვენთვის რამდენიმე სიტყვა, რადგან თქვენც კონფერენციის სხდომაზე ხართ, რომლის მნიშვნელობა ჩვენი ერისათვის განუზომელია. ამ კონფერენციას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ვიდრე თქვენა ფიქრობთ, არა მარტო გამოსარკვევად ახლო მომავლის პრობლემებისა, არამედ გამოსარკვევად ჩვენი ქვეყნის მომავლისა. თქვენ მოგიხდებათ შექმნა სახელმწიფოს საძირკვლისა“.

თუ ინგლისში, სადაც მრეწველობა ისე ძლიერ არის განვითარებული, ლლოიდ-ჯორჯმა საქვეყნოთ აღიარა, რომ მრეწველობამ უნდა შექმნას სახელმწიფოს საძირკველი, ცხადია, საქართველოში, სადაც მრეწველობა უნუგეშო მდგომარეობაშია, პალატას მოუხდება მომზადება მასალისა საქართველოს ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარების საძირკვლის ჩასაყრელად.

**პროგრამა მრეწველობისა.**

ყოველივე სახელმწიფოს ეკონომიური და კულტურული განვითარება და მოკიდებულია მისი გეოგრაფიულ მდებარეობაზე, სწავლა-განათლების გავრცელებაზე, რკინის და სხვა გზების სიმრავლეზე, შრომაზე და მისი ნაყოფიერებაზე, მცხოვრებელთა დაცვაზე გაცარცვისა და შეურაცხყოფისაგან, საკუთრების ხელშეუხებლობაზე. ზომიერი ხარჯებისა და გადასახადების შემოღებაზე, ზომიერი ტარიფის შემოღებაზე რკინის გზებზე და საბაჟოებში, საგარეო ვაჭრობის მოწყობაზე და სხვა. გარდა ამისა, ერის კეთილდღეობა, რასაკვირველია, დამოკიდებულია იმ ბუნებითი სიმდიდრეზე, რაც სახელმწიფოში მოიპოვება და იმის გამოყენებაზე. პალატის რთული, მძიმე და მასთან ნაყოფიერი მუშაობა გამოიხატება იმაში, რომ გაითვალისწინოს ყველა ეს და შეადგინოს პროგრამა მრეწველობის შექმნისა საქართველოში. ეს პროგრამა უნდა შეეხოს საქარხნო სამთამადნო, სამეურნეო მრეწველობათ იმ ფარგალში, რომელშიაც მოთავსებულია ქარხნებისათვის საჭირო დასამუშავებელ მასალის მოყვანა. ზედმიწევნით გამოკვლეული და შესწავლილი უნდა იყოს ყველა პირობანი ამა თუ იმ დარგის მრეწველობის მოსაწყობად. ეს იქნება უმთავრესი ქვა სამრეწველო საძირკვლისა. ამით პალატა დიდ დახმარებას გაუწევს მთავრობას მრეწველობის განვითარების გზაზე.

**ტეხნიკური და კომერციული სწავლა.**

გაუმჯობესება საქარხნო და სამრეწველო მასალისა, განვითარება თვით მუშაობისა დამოუკიდებელია, სხვა პირობათა შორის, მომუშავეთა ცოდნაზე, იმათ შეგნებაზე, იმათ სწავლაზე. პალატის საზრუნველია სატეხნიკო და საკომერციო ცოდნათა ფართოთ გავრცელება, რათა მუშაობის მზრუნველთ შეეძლოთ შეგნებული მუშაობა არჩეულ დარგში, შეეძლოთ არჩეულ დარგში საჭირო იარაღების და მანქანების ხმარება. მხოლოდ მომზადებულს, ცოდნით აღჭურვილ მომუშავეს შეუძლიან თავისი შრომა გაანაყოფიეროს.

გერმანიის მრეწველობის ისე სწრაფად და მძლავრად გავრცელების ხელის შემწყობი იყო სპეციალური სხვა და სხვა დარგის სატეხნიკო სასწავლებლები, როგორც დაბალი, ისე საშუალო, უმაღლესი, და აგრეთვე კომერციული სასწავლებლები.

მომავალი იმ ერისაა, რომელიც უფრო განვითარებულია გონებრივად, რომელიც უფრო მაღლა სდგას სწავლით, ცოდნით, რომელიც თავის ცოდნას უკეთ მოახმარებს წარმოებას. მრეწველობის განვითარებისათვის არა კმარა მცოდნე ინჟენერი, ტეხნიკები, საჭიროა მომუშავეთა მომზადება ეხლავე და მიწოდება საჭირო ცოდნისა. საჭიროა ყველა დარგის მრეწველობისათვის დაარსება პრაქტიკული სატეხნიკო კურსებისა მოზრდილთათვის როგორც ადგილობრივ, სამრეწველო რაიონებში, აგრეთვე მოძრავი კურსებისა.

**მუზეუმი**

სასწავლებელთან და კურსებთან დაკავშირებულია სავაჭრო-სამრეწველო მუზეუმის დაარსება. მუზეუმი უნდა ემსახურებოდეს ვაჭარს, მრეწველს, მომუშავეს. აქ უნდა იყოს შეგროვილი ყოველგვარი ნიმუშები დასამუშავებელ მასალისა, ადგილობრივისა და საზღვარ გარეთისა, ისეთისა, რომელიც საჭიროა შემოსატანად და აქ დასამუშავებლად. ნიმუშები მადნეულობისა, ხე-ტყისა, სალებავებისა და სხვ.; ნიმუშები აქაური ქარხნების ნაწარმოებისა საზღვარ გარეთელი სხვა და სხვა საქონლისა, აღნიშვნით მისამართისა; შეძლებისამებრ მოდელები საჭირო მანქანებისა, იარაღებისა და სხვა

მუზეუმი ვაჭრებს და მრეწველებს დაეხმარება ყოველგვარ ცნობების მიღებაში, მუშებს და მოსწავლეთ-მანქანების და დასამუშავებელ მასალის და ნაწარმოების შესწავლაში.

**მუშათა კითხვა**

მარტო საქართველოში არ არის გაუხსნელი კვანძი მუშათა საკითხისა. მთელს ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკაში, ბრაზილიაში, ავსტრალიაში, სადაც დიდიხანია შემოღებულია 8 საათის სამუშაო დღე, ამოძრავდა მუშათა კლასი. 8 საათის სამუშაო დღე ინგლისის მუშებს არ აკმაყოფილებს, სამუშაო კვირა 56 საათი იყო. ინგლისის მუშებმა მოითხოვეს მადნებისათვის 6 საათი, ქარხნებისა, რკინის გზებისა და სხვ.—40 ს. კვირაში, ე. ი. 7 საათი და შაბათობით 5 ს., ფოსტის მოხელეებმა 42 ს. შეერთებულ შტატებში საქსოვ ქარხნებში ამ დარგის მუშათა კავშირმა უკვე შემოიღო თებერვლიდან 8 ს. თავისთავად ცხადია, რომ დიდი ხნის სამართლიანი მისწრაფება მუშებისა - 8 საათის სამუშაო დღის შემოღება—მკვიდრად მოიკიდებს ფეხს, ეს სამუშაო დრო იქნება მაქსიმუმი. მართალია, 8 საათის სამუშაო დღე მრეწველობით განვითარებულ რაიონებში დასწევს წარმოებას, ასწევს ფასს ნაწარმოებისას, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ 8 ს. სამუშაო დღე ყოველ შემთხვევაში ნორმალურად უნდა ჩაითვალოს ყველგან. ეკონომიურად დ ტეხნიკურად დაწინაურებულ ქვეყნებში დღეში 2 ს. დანაკლისს მუშაობისას და ფასის მომატებას აინაზღაურებენ მანქანების და სამუშაო იარაღების გაუმჯობესებით, ხოლო ამ მხრივ ჩამორჩენილი სახელმწიფოები პირველ ხანებში დიდ ეკონომიურ განსაცდელში ჩავარდებიან.

8 საათის სამუშაოს მოთხოვნას მოჰყვა მოთხოვნა სამუშაო ფასის მომატებისაც. მარტის შუა რიცხვებში ინგლისის პალატაში ლლოიდ-ჯორჯმა წარმოსთქვა საგულისხმო სიტყვა, რომელშიაც შეეხო მუშათა კითხვასაც. სხვათა შორის მან სთქვა: „თუ ნაწარმოების ფასი ისე მოიმატებს, რომ შეამცირებს მის გაყიდვას, და განდევნილი ვიქნებით საზღვარ გარეთის ბაზრებიდან. ამას მოჰყვება საშინელი უმუშევრობა. ორივე ეს მოხდება, თუ ნაწარმოების ფასი ძალიან დიდი იქნება. თუ მრეწველობის ყოველ დარგზე ცალკე შეხედულება იქნება სხვა წარმოებასთან შეუფარდებელი, მაგალითად ნახშირის ფასის მომატებასთან, ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა დავკარგოთ იმედი ჩვენი მრეწველობის განვითარებისა. საზოგადოების ყოველ ნაწილს კარგად უნდა ახსოვდეს ეს ახალ-ახალ მოთხოვნილებათა წარდგენის დროს. შემოკლება სამუშაო საათებისა დ ამასთანავე მომატება სამუშაო ფასისა არის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი მუშაობის შემცირებისაო“.

იმის წინააღმდეგი, რომ მუშათა მდგომარეობა უნდა გაუმჯობესდეს, არც ერთი შეგნებული არ იქნება ხოლო ეს გაუმჯობესება უნდა ხდებო-

...ი, საქონლით, სესხით ან და სხვა
... სახით. ეს ჯამი შედის იმ მი-
...ნების პირველ ათასში, რომლის
...ხებაც აღნიშნულია, რომ ზოგიერ-
... ხარჯები (როგორც მაგალითად
...უპაციო არმიის შესანახად და სუ-
...ის ახალი მასალის შესაძენად
...ბული) შეიძლება ჩაითვალოს სეს
... და ნედლი მასალის გადახდის ვა
... დანიშვნა მოკავშირეებზეა დამოკი-
...ლი. იმის გამოსარკვევლად შეუძ-
..., თუ არა გერმანიას ფულის ან
...ენის გადახდა, ზარალის ანაზღაუ-
...ს კომისიამ უნდა განიხილოს გერ-
...ის გადასახადთა სისტემა და უნდა
...ალოს გერმანიას, რომ გადასახა-
... დაედოს ყოველგვარ საგნებს და
...ელ ყოვლისა აქედან აღებულ ფუ-
... დაჰფაროს შინაური სესხები და
...ხსენებული გადასახადელი ფული.
...ეგ, რომ დავრწმუნდეთ, რომ გა-
...ხდელი გერმანიაში ისევე პრო-
...ციულადაა განაწილებული, რო-
...ც სხვა იმ სახელმწიფოებში რო-
...თა წარმომადგენლებიც კომისიაში
...ნ, გერმანიის საშუალებას მისცე-
... კომისიას წარმოუდგინონ ყველა
...შეკრულებები გადასახადის შესაძ-
...ლობის შესახებ. კომისიას უმთავ-
...ად პარიზში ექნება ბინა. ის იქნე-
... მოკავშირეთა სააგენტო ზარალის
...ღაურებისა დანაწილებისათვის.
...ისიას შეუძლიან გერმანიას მოსთ-
...ოს, დრო გამოშვებით, ბონების ან
... ობლიგაციების გამოშვება, აუცი-
...ელ მოთხოვნილებათა დასაკმაყო-
...ფილებლად. ამის გამო გამოიკვლიოს,
...ორც გადასახადების ჯამის განა-
...ება, ისე პროცენტების რაოდენო-

[illegible]

გერმანიის მთავრობა აღიარებს, რომ მოკავშირეებს უფლება აქვთ გერმანიას მოსთხოვონ ომის დროს დაღუპულ-დაზიანებულ ყველა სავაჭრო და სათევზაო გემების აღდგენა — გერმანიამ მოკავშირეებს უნდა მისცეს თანაბარ წყალწყვისა და ღირსების გემები. გერმანია თანახმაა მოკავშირეებს გადასცეს ყველა სავაჭრო გემი 1600 ტონის და მეტის წყალწყვისა, 1600—1000 ტონამდე წყალწყვის გემების ნახევარი, ორთქლით მავალ ტრალერების და სათევზაო გემების მე-4-დი ნაწილი: ეს გემები ორი თვის განმავლობაში უნდა გადაეცეს ზარალის ანაზღაურების კომისიის შემოწმებით, რომ ამ გემებს ვალი არა აქვთ. შემდეგ, გერმანიის მთავრობა თანხმობას აცხადებს, რომ უახლოეს 5 წლის განმავლობაში ყოველ წლიურად 200,000 ტონის სავაჭრო გემები ააშენოს მოკავშირეთათვის. ყველა გემი რომელიც გერმანიამ მოკავშირეებს გამოართვა და გერმანიის შინაურ წყლებში ნაოსნობისთვისაა დანიშნული, ორი თვის განმავლობაში მოკავშირეებს უნდა დაუბრუნდეს. ზარალის ნაწილი, რომელიც ვერ იქნება ანაზღაურებული. ასეთი საშუალებით, უნდა დაიფაროს გერმანიის მდინარეთა მთელი ფლოტის მე-5-დი ნაწილით.

გერმანია მოვალეა საკუთარ საშუალებით აღადგინოს მის მიერ აოხრებული ადგილები. ზარალის ანაზღაურების კომისიას უფლება ენიჭება, მოითხოვოს, რომ დაზარალებულთა დანაკლისი აუნაზღაურონ გერმანიაში არსებულ მანქანებით და საქონლით, მაგრამ მხედველობაში უნდა იქმნეს [illegible]

გერმანიამ კომისიას უფლება უნდა მისცეს ქსოვილთა, ქიმიურ მასალების და სააფთიაქო საქონლის წარმოებისა. გარდა ამისა, საზავო ხელშეკრულების ძალაში შესვლის ჟამს გერმანიაში დაგროვილ ქინაქინის 50 პროც. და აგრეთვე 6 თვის განმავლობაში და 1924 წლამდე წინა ექვს თვეს დაგროვილი ქინაქინის 25 პროცენტის კონცესიის უფლება.

იმ სახელმწიფოებმა, რომელთაც დაეთმობათ გერმანიის ტერიტორია, იკისრონ ომამდე არსებულ გერმანიის ვალების ერთი ნაწილი, რომლის რაოდენობაც ზარალის ანაზღაურების კომისია უნდა გამოარკვიოს, დათმობილ ტერიტორიის და ომამდე 3 წლის განმავლობაში სრული შემოსავლის პროპორციის მიხედვით. გამონაკლისს შეადგენს ელზას-ლორენი, სადაც 1871 წ. გერმანიამ უარი განაცხადა საფრანგეთის ვალის, რომელიმე ნაწილის გადახდაზე, პოლონეთიც აგრეთვე არ იკისრებს გერმანიის იმ ვალებს, რომელიც პოლონეთის დასამონავებლად იყო აღებული. დათმობილ ტერიტორიაზე ყოფილ გერმანიის მთავრობის ქონების ღირებულება გერმანიას ჩაეთვლება ზარალის ანაზღაურების ანგარიშში. გამონაკლისს შეადგენს ელზას-ლორენის ტერიტორიაზე არსებული გერმანიის ქონება.

რწმუნებული სახელმწიფონი არ იკისრებენ გერმანიის ვალს და გერმანიის მთავრობის ქონება ზარალის ანაზღაურების ანგარიშში არ ჩაითვლება.

გერმანიამ უნდა გადაიხადოს საოკუპაციო ჯარის ყველა ხარჯები, რომელიც გაწეული იქნება დროებითი ზავის შეკვრის დღიდან, გერმანიის ტერიტორიაზე ამ ჯარის ყოფნის უკანასკნელ დღემდე გაწეული ხარჯი გერმანიამ პირველ ყოვლისა უნდა გადაიხადოს.

შემდეგი საჩქაროდ გადასახდელი არის ზარალის ანაზღაურება, მაგრამ ამის წინ გერმანიამ შეღავათი უნდა მისცეს მოკავშირეებს სურვილისამებრ შეზიდულ საქონლის ფასის გადახდაში.

გერმანია მოვალეა მოკავშირეებს გადასცეს ომის დროს გერმანიის მიერ მიცემულ ფინანსიურ დახმარებისათვის სამაგიეროდ ავსტრია-ჰუნგრეთისა და ოსმალეთის მიერ გერმანიის ბანკში შეტანილი ფულები და აგრეთვე ყველა ის ფული, რომელიც გერმანიამ ავსტრია ჰუნგრეთს, ბულგარეთს და ოსმალეთს მოსთხოვა ომის დროს მათთან დადებულ ხელშეკრულებათა თანახმად.

ხელშეკრულება შეიცავს ისეთ პირობებს, რომელიც გერმანიას აიძულებს, რომ გერმანიამ პირდაპირი თუ არა პირდაპირი გარჩევა არ შეიტანოს შეთანხმების სხვა და სხვა სახელმწიფოსთან სავაჭრო ურთიერთობაში. ეს პირობები ძალაში რჩება ხუთი წლის განმავლობაში, თუ შემდეგ ხალხთა ლიგის საბჭომ ეს ვადა არ გააგრძელა.

მოკავშირეთა გემები უნდა სარგებლობდენ როგორც განსაკუთრებული მეგობარ ერთა უფლებებით, ისე სხვა სახელმწიფოთა შორის უპირატესობით 5 წლის განმავლობაში. ეს პირობა გაგრძელდება თუ ხალხთა ლიგის საბჭოს მიერ გადასინჯული არ იქნება.

გერმანია მოვალეა მოკავშირეთა ვაჭრობა დაიცვას ყოველ გვარ უკანონო კონკურენციისაგან და განსაკუთრებით უნდა მოსპოს ყალბი საქარხნო მარკების ხმარება.

მოკავშირეები იტოვებენ მათ ტერიტორიაზე არსებულ გერმანიის ქონების ლიკვიდაციის უფლებას. ომის დროს და შემდეგ ამ ქონებიდან აღებული მოგება გერმანიას გადასახადელ ვალში ჩაეთვლება და უნდა გადაიდოს ნაწილი ფულით მოკავშირეთა ქვეშევრდომების და გერმანიის ვალების დასაფარავად.

გერმანია ვალდებულია უზრუნველჰყოს თავისუფალი მიმოსვლა, როგორც მოკავშირეთა სახელმწიფოებიდან მომავალ, ისე იქითკენ მიმავალ მგზავრთა და საქონლის დატვირთულ გემებისა. ასეთ საქონელზე გადასახადი არ უნდა დაწესდეს. გერმანიის ნავთსადგურებში უნდა არსებობდეს თავისუფალი კანონები, ყველასთვის, განურჩევლად ეროვნებისა. თავისუფალ ნავთსადგურებში დასაშვებია მხოლოდ რომელიმე შეზღუდული გადასახადები. მდინარე ელბა ოლშანის შეერთებამდე მდ. ოლშანა პრაგის ქვემოთ, ნემანი ოდერის ქვემოთ და დუნაი ულმის ქვემოთ მდინარეთა შესართავებიანად ნეიტრალურად ცხადდება. სამი წლის განმავლობაში გერმანიამ უნდა გადასცეს მდინარეთა ფლოტის ნაწილი თავისი მასალით.

მდ. დუნაის საკითხში წინანდელ კომისიებს უბრუნდებათ ძველი უფლებები. პირობები უნდა ეხებოდეს აგრეთვე რეინ-დუნას არხს, თუ უახლოეს 25 წელს მისი გაყვანა გადაწყდა 3 თვის განმავლობაში გერმანიამ საფრანგეთს უნდა გადასცეს რეინის ფლოტის ნაწილი. საფრანგეთსავე უნდა გადაეცეს რეტორდამში 1914 წ. აგვისტოს 1 დე.

საბუქსირო გემების ნაწილით საფრანგეთმა უნდა ისარგებლოს მდ. რეინით არხების გასაყვანათ და სამუშაოს საწარმოებლად, რომელნიც ზოგიერთ შემთხვევაში მოითხოვენ კომისიის ნებართვის და განსაზღვრულ ფულის გადახდას.

თუ 25 წლის განმავლობაში ბელგია რეინ-მოზელის გაყვანას გადაწყვეტს, გერმანიის მთავრობა ვალდებულია ამ არხის ის ნაწილი, რომელიც მის ტერიტორიაზე იქნება, თუნდ თვითონ გაიყვანოს ბელგიის მიერ შემუშავებულ გეგმებით; ხარჯები სხვა-და-სხვა სახელმწიფოს უნდა ექნეს განაწილებული. გერმანიის მთავრობა ვალდებულია 99 წლის ვადით ჩეხო-სლოვაკთა რესპუბლიკას დაუთმოს ჰამბურგის და შტეტინის ნავთსადგურები, როგორც თავისუფალი ზონა.

სარკინისგზო პირობები გულისხმობს პირობებში საქონლის გატარებას, ანდა მისი გერმანიაში შეზიდვას გერმანიამ თავის ვაგონებით ისე უნდა მოაწყოს, რომ დაუბრკოლებლივ შეიძლებოდეს მათი გადაბმა მოკავშირეთა ვაგონებზე. ბოლოს გერმანიამ თანხმობა უნდა განაცხადოს წყლის გზების, ნავთსადგურების და რკინის გზების ნეიტრალიზაციის შესახებ ხელშეკრულობის დადებაზე. ასეთი ხელშეკრულობა უნდა შეიკრას ხალხთა ლიგის თანხმობით 5 წლის განმავლობაში. უთანხმოება ხალხთა ლიგამ უნდა გაარჩიოს. კილის არხი ყველა სამხედრო და სავაჭრო გემებისათვის ღია უნდა დარჩეს. ამავე უფლებით სარგებლობენ, ის სახელმწიფოები, რომელნიც გერმანიას არ ეომებოდენ. ყველა სახელმწიფოს გემები და საქონელი თანასწორ უფლებებით უნდა სარგებლობდენ, მხოლოდ უნდა გადაიხადონ იმდენი რომ შესაძლებელი იყოს არხის შენახვა და გაუმჯობესება, რის პასუხისმგებლობაც გერმანიას ეკისრება. გერმანიის მიერ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად მდ. რეინის დასავლეთით მდებარე ტერიტორია ყველა კიდებით დაპყრობილი იქნება მოკავშირეთა ჯარებით 15 წლის ვადით. თუ გერმანიამ პირობები კეთილსინდისიერად შეასრულა, ზოგიერთი ადგილები, მათშორის, კელნის ხიდიც 5 წლის შემდეგ იქნება დაცლილი. სხვა ადგილები, მათშორის კობლენცის ხიდიც ათი წლის შემდეგ, დანარჩენი ადგილები, მაინცის ხიდიანათ 15 წლის შემდეგ.

---

[illegible]

...ხლები არამც თუ სრულიად ეწინააღმდეგება შრომის მინისტრის ამხანაგის დაკვნას, პირიქით, თითქო ხელს უწყობს მეურნეობასა და მრეწველობის დამხობას, სახელმწიფოს გაღატაკებას.

საქართველოში საქარხნო ქართველ მუშათა რიცხვი ძალიან მცირეა, სულ შეადგენს დაახლოვებით 3000—4000 სულს. ქართველი ორ მილიონზე მეტია, მაშასადამე მთელი სახელმწიფოს მცხოვრებთა ინტერესებს მსხვერპლად სწირავენ ქარხნების მუშათა მცირე ჯგუფის ინტერესებს. რაღა თქმა უნდა, საერთო უბედურების ტალღაში დაიღუპება ეს მცირე ჯგუფიც, როდესაც ეკონომიური კატასტროფა ეწვევა ერს.

დიდხანს შევჩერდი ამ საგანზე, რადგან მრეწველობის ყოფნა თუ არ ყოფნა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ მოწესრიგდება მუშაობის პირობები შეუძლებელია პროფესიონალურ ორგანიზაციების არსებობა იმ უფლებებით როგორიც არსებობენ, შეუძლებელია მრეწველთა უფლებების ყოველმხრივი შევიწროვება, შეზღუდვა, პალატის პირველი ნაბიჯი უნდა გადაიდგას ამ კითხვის მოსაწესრიგებლად,

**ბ ა ნ კ ე ბ ი.**

აღნიშვნა იმისა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებაში ბანკებს, იაფ კრედიტს, მთავრობის დახმარებას კრედიტით, თვით ფულისს ფასს და სხვა. აქ სრულიად მეტი იქნება. გერმანიის, ამერიკის მრეწველობის მოკლე ხანში ძლიერ განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ბანკებს. ამ საგანს, რამდენათაც ჩვენ ვიცით, სათანადო სამინისტრო იკვლევს და შედგენილიც აქვს წესდება სახელმწიფო ბანკის დასაარსებლად. პალატა თავის მხრივ შეადგენს მრეწველობის პროგრამას და ამასთანავე გამოიკვლევს თანხის რაოდენობასა და კრედიტის რაოდენობის საჭიროებას, და წარუდგენს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს თავის აზრს ბანკების ოპერაციების გაფართოვების შესახებ სახელმწიფო ბანკის დახმარებით.

(დასასრული იქნება).

---

# ტელეგრამები

(საქ. დეპ. სააგენტო)

12 მაისი.

**გერმანიის სოციალისტთა მოწოდება.**

„ფორვერტსში" სოციალისტური პარტიის კომიტეტი მთელი ქვეყნის სოციალისტების მიმართ შემდეგ პროკლამაციას აქვეყნებს: „ვერსალის საზავო ხელშეკრულების პროექტი მთელი ქვეყნის ზავის მომხრეებს ყველაზე უიმედო მომავალს უმზადებს ნაძალადევი ზავი, რომელსაც ვერსალის კარნახით თავს გვახვევენ, სავსებით ამართლებს სოციალ-დემოკრატების პოზიციას ეროვნულ თავდაცვის საკითხში. ჩვენ ყოველთვის ვიცოდით, თუ რა მოელოდა გერმანიას, მოკავშირეთა იმპერიალისტებს საშუალება რომ აიეცემოდათ ზავი ეკარნახათ ჩვენთვის. ამიტომ ყოველი საშუალებით. ვცდილობდით ასეთ მდგომარეობის თავიდან აცილებას. სხვა ქვეყნის სოციალისტებო ეხლა გესმით თუ არა, თუ რად გვეჭირა ისეთი პოზიცია.

## გერმანული პრესა

სხვა ქვეყნის იმპერიალისტები ჩვენებზე უკეთესნი არ არიან. ზავი, რომელსაც ჩვენ თავს გვახვევენ გერმანიის რესპუბლიკის გულს უგმირავს. საფრანგეთის, ინგლისის და ამერიკის კაპიტალისტურ მთავრობის გეგმა აუტანელი პირობები იქნება სოციალისტურ გერმანიის აყვავებისთვის და იმავე დროს ლახვარს სცემენ საერთაშორისო სოციალიზმს. ჩვენ, გერმანიის სოციალისტები, ომის დროს მუდამ ისეთი ზავის მომხრე ვიყავით, რომელიც ერთა შერიგებასა და შეთანხმებაზე იქნებოდა აგებული, ასეთი ზავის, რომელიც შეუძლებელს გახდიდა ომის განმეორებას. მოკავშირეთა სახელმწიფო მოღვაწეებმა არა ერთხელ განაცხადეს, რომ ისინი კაიზერის და იუნკერების წინააღმდეგ იბრძვიან და არა გერმანიის ხალხის წინააღმდეგ. ვერსალის ზავი მთელი გერმანიის ხალხი წინააღმდეგაა მიმართული. თუ ყველა ეკონომიური ძალდატანება და ფინანსიური ძალადობა განხორციელდა, როგორც ეს განზრახულია მაშინ გერმანიის მუშები მონებად გადაიქცევიან და სხვა სახელმწიფოთა კაპიტალისტებს უნდა ემსახურონ გერმანიას ეს სურს აანაზღაუროს ომის მიერ და ნოემბრის რევოლიუციის დამპყრობელთა ბრძანებით საერთაშორისო უფლების დარღვევის გამო მიყენებული ზარალი. გერმანია კისრულობს ბელგიისა და ჩრდილოეთ საფრანგეთის აღდგენის ხარჯებს. მაგრამ ამისთვის შიგნით სახელმწიფოში ეკონომიური წესრიგი უნდა არსებობდეს. მაგრამ ზავი იმ სახით, როგორც ეს განზრახულია, გერმანიის მოწყობილ ეკონომიური ცხოვრებისთვის სასიკვდილო განაჩენია. პირობების შესრულება შეუძლებელია და მისის წვრილმანების განხორციელების ცდა მუდამ წინააღმდეგობას გამოიწვევს ამასთანავე ერთად მძულვარების საფუძველი არ მოისპობა და ოთხი წლის ომით დატანჯული ევროპა ვერას დროს ვერ დაწყნარდება ვერსალში განზრახული ზავის ყოველი ცალკე მუხლი ვილსონის 14 პუნქტის დარღვევაა. გერმანიის ერს არ ექნება თვით გამორკვევის უფლება წმინდა გერმანულ ოლქებს როგორც მაგალითათ დანციგს, მეტცას და სხვას გერმანიის რესპუბლიკას სწყვეტენ და ამ ოლქების მცხოვრებლების მათ დაუკითხავათ ძალით უცხო სახელმწიფოს უღელს ადგამენ კისერზე. აუტანელია აგრეთვე საარის ოლქის დაფარული ანექსია. ბისმარკი საცოდავი ხდება იმ ათეულებიან შედარებით, რომელნიც ეხლა გერმანიას შლიან და იმავე დროს გვირჩევენ შეუერთდეთ ხალხთა ლიგას, რომელიც მხოლოთ მათ შეადგინეს, რომელშიაც აპირებენ თავის ბატონობის გაგრძელებას და მის საშუალებით გერმანიის ჩაგვრას. ასეთი საზავო პირობები რომელიც აშკარად იგდებს ყოველივე სამართლიანობას ვერ შექმნიან მტკიცე ზავს და მხოლოთ სიძულვილს იწვევენ. ასეთი პირობები მხოლოდ გააძლიერებენ რეაქციონერთა ნაციონალისტურ აგიტაციას და სოციალისტებს ხელს შეუშლიან ხალხთა განვითარებაში.

ყველა ქვეყნის მუშათა მთავარი მიზანი უნდა იყოს ის, რომ არ დაუშვან ასეთი ზავის შეკვრა. ბერნში ნეიტრალურ ქვეყნების სოციალისტები მოკავშირეებს და ცენტრალურ სახელმწიფოებს შეუთანხმდენ ზავის საერთო პროგრამის შესახებ. მათ პროტესტი განაცხადეს ვილსონის პრინციპების ასე თუ ისე შეცვლის გამო და სადაო, როგორც მაგალითად საარის ოლქის და დანციგის, საკითხების შესახებ სცდილობდენ ისეთი გადაწყვეტილება გამოენახათ, რომელიც გერმანიას არ აიძულებდა ახალი ომი დაეწყო. მოკავშირეთა მთავრობები არავითარ ანგარიშს არ უწევენ მტკიცე ზავის შექმნის აუცილებლობას და მხოლოდ ფიზიკურ ძალას ეყრდნობიან. ნუ თუ საერთაშორისო სოციალიზმი იმდენად არ აიმაღლებს ხმას ნაძალადევ ზავის წინააღმდეგ, რომ გამარჯვებულთა ბანაკში ყურად იღონ იგი. ჩვენ გვგონია, რომ აიმაღლებს. მაგრამ დრო არ იცდის გერმანიის ხალხი დაღუპვის პირზეა. ამას გარდა საფრთხე უფრო მეტს მოელის: სახელდობრ, ევროპის ბედს! ყველა ქვეყნის ხალხმა არ ნახული უბედურება უნდა გადაიტანოს. თუ ერთი ერი სრულიად განადგურდა, ეს საგრძნობელ გავლენას იქონიებს სხვა ერებზედაც. ამიტომ მთელი ქვეყნის პროლეტარიატებს გააერთიანებს თქვენი ხმა. ნაძალადევ ზავის წინააღმდეგ, რომელიც ევროპას წაართმევს დაწყნარების საშუალებას და საგრძნობ ზარალს მიაყენებს სოციალისტურ ქვეყნებს.

**გერმანიის დელეგაცია პარიზში**

„ტანი" აცხადებს, რომ არავითარი ცნობები არ არის ბროკდორფ რანტცაუს და გერმანის სხვა რწმუნებულთა ვერსალიდან ბერლინში წასვლის შესახებ. პირიქით, გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ გერმანელების დელეგაცია მიღებულ ინსტრუქციების თანახმად თავის მთავრობის დავალებით ზავის პირობათა პასუხს ამზადებს. უკვე ცნობილია, რომ პასუხი 15 დღის შემდეგ, ე. ი. 22 მაისამდე უნდა წარადგინონ. ამას გარდა, „ტანი" ფიქრობს, რომ გერმანიის დელეგაციამ პარასკევს საღამოს მოკავშირეებს უკვე გადასცა 2 ნოტა. ერთი ხალხთა ლიგას ეხება, ხოლო მეორე საზავო პირობათა პასუხს შეიცავს.

**1839 წ. ხელშეკრულების გადასინჯვა**

„ტან"-ის ცნობით, ჰოლანდიასთან მოლაპარაკება, საზავო კონფერენციის გადაწყვეტილების გამო 1839 წლის ხელშეკრულების გადასინჯვის მიზნით, ახლო მომავალში დაიწყება. პარიზში ჰოლანდიის დელეგატებს მოელიან. მოლაპარაკებაში მონაწილეობას მიიღებენ საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია, შეერთებული შტატები, ბელგია და ჰოლანდია. მოლაპარაკებაში იაპონიის წარმომადგენელიც მიიღებს მონაწილეობას.

**აბაშეთის მისია.** აბაშეთის მისია გემ. მადონაზე პარასკევს მარსელში მოვიდა. მისია სხვა და სხვა პირთაგან შესდგება რომელთა შორის არიან კომერსანტები საფრანგეთის საელჩო მთავარი თარჯიმანი და მრავალი მხლებელი. ეს მისია, აბაშეთში მყოფ საფრანგეთის ელჩის კაფეს თანხლებით საფრანგეთის პროტექტარატის თხოვნის მიზნით მოვიდა, რისთვისაც დაუყოვნებლივ პარიზში გაემგზავრა.

# საბჭოთა უკრაინა

**საქართველოს ელჩი საბჭოთა მთავრობასთან.**

მარტის 6-ს ქ. ხარკოვში, უკრაინის ბოლშევიკურ მთავრობის თავმჯდომარეს, საგარეო საქმეთა კომისარს, რუმინეთის ებრაელ სოციალისტს, რაკოვსკის წარუდგა ქართველთა დელეგაცია. ქართველთა დელეგაციაში შედიოდენ: 1. საქართველოს ხარკოველი ელჩი ბ-ნი გიორგობიანი 2. სტეფანე მაზმანოვი. დავ. ივ. კობახიძე. ხარკოველ ელჩს მოლაპარაკების მიზნად დასახული ჰქონდა უკრაინის ახალ საბჭოთა მთავრობას და საქართველოს საელჩოს შორის ურთიერთობის გამორკვევა. მაზმანოვი და კობახიძე მოვიდენ რაკოვსკისთან საქართველოს საკონტრაგენტოს საქონლის ბედის გამოსარკვევად, რომელიც ქ. ბერდიანსკში იყო, და აგრეთვე, საქართველოს ქვეშევრდომ გერმანეთ - ავსტრიიდან მომავალ სამხედრო ტყვეთათვის სამშობლოში წასასვლელ ნებართვის გამოსათხოვად. პირველად უკრაინის საბჭოთა მთავრობაში ქართველები მიიღო უკრაინის საბჭოთა მთავრობის საქმეთა მმართველმა, ბესარაბიელმა სოციალისტმა, გრანოვსკიმ. გრანოვსკისთან კაბინეთში ქართველ დელეგატებს კამათი, სხვათა შორის წმინდა პარტიულ ნიადაგზე მოუხდათ. მათ შორის ლაპარაკი უცვლელად მოგვყავს.

**გრანოვსკი.** (მიჰმართავს საქართველოს ელჩს, გიორგობიანს) „თქვენ საქართველოს კონსულად ითვლებით, მაგრამ რა უფლებით სარგებლობთ? თქვენ შეგიწყნარათ „ფლიგელ ადიუტანტების" მთავრობამ „გეტმანშჩინამ" და მოღალატე პეტლიურამ, საბჭოთა მთავრობას კი ჯერ—ხნობით თქვენს შესახებ თავისი გადაჭრილი სიტყვა არ უთქვამს. ელჩი ის არის ვინც ამ თანამდებობაზე სრული უფლებებით არის აღჭურვილი. თქვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველების ინტერესების დამცველად არ გცნობთ, საბჭოთა მთავრობამ ელჩები არ იცის. საქართველოში ჯერ საბჭოთა მთავრობა არ არის.

**ელჩი გეორგობიანი.** საქართველოში საბჭოთა მთავრობა არ არის და არც იქნება. მეკითხები ვინა ხარო. მე ვარ საქართველოს მთავრობის მოხელე, იმ მთავრობის, რომლის წესრიგიც უკრაინაში სამოთხედ უნდა ჩაითვალოს გაქვს უფლებები და მისი წართმევა ძალუძს მხოლოდ საქართველოს მთავრობას, ჩვენი საელჩოები ცნობილია ყველგან საბჭოთა ტერიტორიაზე. „სოვდეპიის" დეკრეტმა № 14 მა ყველა ქართველი უცხოელად გამოაცხადა და მობილიზაციისაგან გაანთავისუფლა. მე თქვენ ამხ. გრანოვსკი იმას კი არა გთხოვთ, რომ საქართველოს უფლება მოსილ წარმომადგენლად მიცნოთ, არამედ შემისრულოთ ის, რასაც მოგახსენებთ ჩემი მთავრობის სახელით, მე ელჩად კარგა ხანია ცნობილი ვარ და თქვენი მაგვარი მკაცრი ლაპარაკი ჩემთვის გაუგებარია.

**გრანოვსკი.** უნდა მოგახსენოთ, რომ ქართველები მეტად ფიცხი ხალხი ხართ, რაც ვსთქვი ეს ჩემი პირადი აზრი იყო. რაკოვსკი ალბად სულ სხვა წარმოდგენის არის ქართველებზე. მაგ რამ, რატომ არ გინდათ იწამოთ, რომ მოკლე ხანში მთელ დედა მიწის ზურგს მოედება საბჭოთა სისტემა? განა ქართველებისთვის ეს სასურველი არ არის? „მენშევიზმზე" ბლაუქის დრო წავიდა ახლა ეს ფუჭი წყლის ნაყვა იქნებოდა...

ჩვენ მოვახდინეთ მენშევიზმის ლეგალიზაცია, რადგან ეს საცოდავი პარტია ხანგრძლივ გაფიცვის შემდგომ კომუნიზმის მძლეთამდე იდეასთან შედუღებას აპირებს.

**ინჟ. ივ. კობახიძე.**

ამხ. გრანოვსკი! თქვენი ლაპარაკი მე მაგონებს ბოლშევიკების იმ უაზრო და დემაგოგიურ გამოსვლებს, რომელსაც დღემდის თავი ვერ დააღწიეს კომუნისტებმა და რომელმაც „რუსის მშრომელი მასა დიდ რუსეთში" გაველურებამდე მიიყვანა, ამისთანა გამოსვლებმა უკრაინაში (სამეურნეო ადგილებში) უაღრეს კონსერვატიზმს შეუწყო ხელი.

თქვენ ლაპარაკობთ „მენშევიზმის" გაკოტრებაზე. მეტად ნაადრევია, ბუნებრივი დასკვნა ბოლშევიზმის პარპაშისა, მენშევიზმი უნდა იქმნეს, რომელსაც აქვს ცნობილი სახელმწიფოებრივი მსოფლ მხედველობა და, თუ გნებავთ, ნიმუშად აიღეთ საქართველო რარიგ მშვენივრად ეწყობა იმ დროს, როდესაც თქვენ—უკრაინაში 35 მილიონი და დიდ რუსეთში 70 მილიონიანი ერი ბარბაროსულ პროცესებში იძირებით. ეს თქვენ დაგიმტკიცათ ჩვენმა პარტიულმა ამხანაგმა ამხ. სანძა (დევდარიანი) ქალაქის თეატრში რაკოვსკისთან კამათის დროს, როდესაც თქვენი რაკოვსკი სასტიკად დამარცხდა. კომუნისტებმაც კი ტაში დაუკრეს, ხოლო მატროსები ითხოვდენ მოხუც მუშაკის სანის დარბაზიდან გაძევებას. მენშევიზმის ძლევამოსილება ახლა ჩნდება დღის სინათლეზე.

საქართველოს მაგალითი მაჩვენებელი და დამამტკიცებელია იმის, რომ მენშევიზმს აღმშენებლობითი მუშაობა შეუძლია.

საქართველო საშუალებას აძლევს ყველა კლასთა ძალების ჰარმონიულ თანამშრომლობას. საქართველოში ყველა ცხოველ მყოფელ ძალთა თანამშრომლობით თუ აიხსნება ის, რომ მხარე (საქართველო) გადურჩა ბოლშევიზმს და მისგან გამომდინარე ანარქიას, ფრონტელების ტალღას და შინაურ სამოქალაქო ომს. რასაკვირველია ეს მოვლენა ნაწილობრივ ქართველი ხალხის ბუნებრივ აღზრდას და სიდარბაისლესაც მიეწერების.

ბოლშევიზმი გარდამავალი სენია, მენშევიზმი კი სახელმწიფოებრივი ცნებაა..

მენშევიზმის ლეგალიზაცია თქვენი ნებით კი არ მოახდინეთ არამედ, ცხოვრების აუცილებლობით".

**გრანოვსკი:** (ღიმილით) კამათი უადგილოა, სთქვით რა საქმეზე მობრძანდით.

**ელჩი გიორგიანი:** მე მინდა გამოვარკვიო რა მდგომარეობაში არიან უკრაინაში ამ ჟამად ჩემი მთავრობის ქვეშევრდომნი, გარდა ამისა მოვითხოვ საქართველოს მთავრობის საქონლის ხელუხლებლობას და გერმანეთიდან მომავალ საქართველოს ქვეშევრდომ სამხედრო ტყვეთათვის სამშობლოში წასასვლელ ნებართვის მოცემას.

**გრანოვსკი.** საქართველოს ქვეშევრდომნი უკრაინაში ალბად იმავ პირობებში იქნებიან, როგორშიც არიან საბჭოთა „დიდრუსეთში," ხოლო არ ვიცი როგორ გავლენას იქონიებს ამაზე ბრესტის ხელშეკრულების გაუქმება, რაზედაც ამჟამად ძლიერ ბევრს ლაპარაკობენ.

საქართველოს მთავრობის საქონლის დაცვაზე საბოლოო პასუხის მიცემა საგარეო საქმეთა კომისრის საქმეა. რაც შეეხება ტყვეთათის უკრაინიდან გასვლის ქაღალდის მიცემას, ეს შეუძლებელია, ვინაიდან საბჭოთა მთავრობის დეკრეტის ძალით ჩვენ უცხოელებს აღარაფერში ვენდობით და ამისთვის ომის დასრულებამდე მათ ჩვენი საზღვრებიდან არ უშვებთ. რად უნდა შეადგინოს გამონაკლისი საქართველომ და რა უპირატესობა უნდა მიენიჭოს მას?

**მაზმანოვი:** წაიკითხავდით თქვენს გაზეთებში მსხვილი ასოებით მოთავსებულ რადიოს, რომელსაც საბჭოთა პრესა სიხარულით შეხვდა, რომ საქართველომ კონტრრევოლუციურ პრეტენზიებისთვის მოხალისეთა ჯარს ომი გამოუცხადა და ტუაპსესთან, როგორც თქვენი ცნობებიდანვე სჩანს პირველი შეტაკებაც მომხდარა.

**გრანოვსკი.** თქვენ გვარწმუნებთ, რომ საბჭოთა მთავრობის წინაალმდეგ არ გახდებით „ფლიგელ ადიუტანტების" მოკავშირე, მაგრამ ვინ უწყის ჩვენი ამბები შეიძლება ანტანტას შეატყობინოთ.

**მაზმანოვი.** ნუ გგონიათ, რომ ანტანტა ჩვენგან საჭიროებდეს ინფორმაციას, მას თქვენს შორის საუკეთესო აგენტები ჰყავს ყველა დარგებში, ჩვენ კიდეც, რომ გავკადნიერდეთ და მივაწოდოთ, რაიმე ცნობები ღრმად ვარ დარწმუნებული რომ არ გვენდობიან!..

**გრანოვსკი** ამხანაგებო! მე ყველაფერს გადავსცემ რაკოვსკის, თქვენს მოტივებს დაუსახელებ და ზეგ მობრძანდით პასუხის მისაღებად.

ქ ხარკოვი 6 მარტი.

**ირაკლი**

## ქართ. სამუსიკო საზ-ბის კრება

კვირას, მაისის 18-ს, დილის 11 ს., ქართ. კლუბის დარბაზში დანიშნულია ქართ. სამუსიკო საზოგადოების წევრებისა და აგრეთვე ყველა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრება. მუსიკალური ორგანიზაციული კითხვა საქმის მხარეში მეტად ფართეა და იმ პირობებში, როგორშიაც დღევანდლამდის არსებობდა ყოვლად შეუძლებელია მის დატოვება, საჭიროა დაემყაროს ერის ცოცხალ ძალას და განავითაროს მუსიკალურ კულტურის იდეა.

აქამდის ქართ. სამუსიკო საზოგადოება, დადუმებული, რამდენიმე ათეულ წევრის, შრომით იკვებებოდა. უცაბედ „მოწყალებით" რა თქმა უნდა, ვერ ანხორციელებდა თავის მიზანს მუსიკალურ დარგის გაღრმავებაში და ხალხურ მუსიკის განვითარებაში, რომ თავის მოღვაწეობის გარშემო თავი მოეყარა ფართე ხალხურ ძალებისათვის.

დაყენება მუსიკალურ სწავლებისა შკოლებში და გიმნაზიებში, ხალხურ კონცერტების გამართვა, სტიპენდიების დანიშვნა, ეროვნულ ოპერის დაფუძნება, შესწავლა კომპოზიტორების და მეცნიერების შრომისა, კონკურსების და პრემიების გამოცხადება, სწორი ორგანიზაცია სამუსიკო სკოლებისა პროვინციებში და სხ. აი, ის უმთავრესი მიზანი, რომელიც მორიგ კითხვას შეადგენს ახლად გარდაქმნილ ქართ. სამ საზ-თვის. ცხადია, რომ თავის მოღვაწეობის გაფართოებისათვის და ხალხურ ცხოვრებაში შეჭრისათვის საჭიროა ამ საქმეში მოიპოვოს თანადგო და დამხმარე თანაგრძნობა საზოგადოების წრეებში და ხალხის წარმომადგენლებში. ჩვენ გამოვაცხადეთ უწყება ქართ. სამუს. საზ-ბისა, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს კითხვა სამუსიკო საქმის ორგანიზაციისა მთელ ჩვენ მხარისა.

აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, რომ ყველა ვალდებულმა პოლიტიკურმა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა სათანადო ანგარიში გაუწიონ ამ სერიოზულ და აუცილებელ კითხვებს.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ დღეებში პრესა თანაგრძნობით მოგვეგებება და ღონის ძიებას მოგვცემს საკმარისად გავაშუქოთ ყველა საჭირო კითხვა ქართ. სამუსიკო საზ-ბის. მომავალ არა ჩვეულებრივ კრებისა.

ქართ. სამუს. საზ. კრების მომწყობ კომისიის წევრები.

## კორესპონდენცია

### სოფ. დიდი ჯიხაიში

(ქვემო იმერეთი)

უკანასკნელ დროს მეტად გახშირდა წვრიმალი ძარცვა-გლეჯა. აპრილის 30 სოფ. დიდ ჯიხაიში გაძარცვეს ივ. ქომოშავიძე, წაართვეს 300 მან. სოფელში მძვინვარებს ტიფი, მსხვერპლი მეტად დიდია. წელს აბრეშუმის მოყვანას ხალხი ჩვეულებრივი ხალისით აღარ ეკიდება, რადგან ეშინია, რომ აბრეშუმის პარკს მომავალ წელსაც არ ექნება გასავალი. აქაური სამკითხველო ეს ერთი ხანია დაკეტილია, რადგან ძველი გამგე სახალხო გვარდიაში ჩაეწერა. სიმინდის ფასმა საგრძნობლად დაიწია, ფუთი ღირს 30 მანეთად. ადგილობრივ აფთიაქში მედიკამენტები სრულებით აღარ იშოვება. ბოლო ხანებში გაჩნდა საქონლის ჭირი, სოფელი დიდად საჭიროებს ბეითალს, მაგრამ ის ჯერ არ სჩანს. აქაური სახალხო გვარდია სოჭის ფრონტზეა. ამას წინად გამართულ სოფლის ყრილობაზე ხალხი დარწმუნდა, რომ შეტევაზე გადასული ჩვენი ჯარი სოჭს დაიკავებდა და ახლა, როცა ჩვენი ჯარი გაჩერდა გაგრასთან, ხალხი ჰკითხულობს: რა ხდება, ხომ არ გვერევიან, სოჭი რატომ არ ავიღეთო. სოჭის ბრძოლის ველზე წასვლის წინ ხალხის სულიერი განწყობილება წმინდა ეროვნული იყო. მოხუცებიც კი ითხოვდენ ჯარში ჩაწერას.

**იქაური.**

## ტრფობა წამებული

**ისტორიული რომანი**

გრიგოლის ნაქვთიანი აგებულობა, მისი სულიერი სიძლიერე, რომელიც ცხადად იხატებოდა მის მეტყველ სახეზედ, იყო იმის მიზეზი, რომ არა ერთს ქალწულს მშვენიერს ეჭირა მასზედ თვალი. ბევრ კეკლუცს შეჰვარდნოდა გული ამ თავისებურად დამშვენებულ ახალგაზრდაზედ. გარნა უკვირდათ, განცვიფრებას მისცემდნენ, რომ იგი ჭაბუკი ვერა ჰხედავდა გზას ქვეყნიურის სიამისას, რომელი თავისთავად ეშლებოდა მას ფერხთქვეშ, შარას ხორცთა ტკბობისას, ფუფუნებისა, სიმდიდრისა, თვით დიდებისას.

— როგორ შეიძლება ესეთ მშვენიერ ახალგაზრდაში დაესადგურებინოს გულს მიუკარებელს, ცივს, ყინულის ნატეხიდან ნაკვეთ-გამოჭრილს?!

— საკვირველია! როგორ არ მოჰსურდება მის თვალს მზერა მშვენიერებისა, ხილვა კეკლუცთა, ველის ყვავილებივით რომ გარდაშლილან იმის გარემო?!

— ან როგორ არ მოსწყინდება მის სმენას განვითარებულს მხოლოდ საეკლესიო საგალობელთა ხმიანობა ერთგვარი; არ მოსწყურდება დატკბობა სიმთ მწყობრად ჟღერით, ტკბილხმოვან სიმღერების სმენით, ოდეს ბგერანი ცეკვავენ შვებით, როგორც მზის სხივნი ყვავილთა შორის ცვარ შებნეულთა.

— როგორ არ მოუნდება მიახლება საყნოსად, თუნდ მოსაწყვეტად, ფერადფერად ყვავილთადმი, რომელნი გარს ახვევიან მას მისკენ მიხრილნი, მისთვის მღიმარნი, მისი სურვილით ათრთოლებულნი?! რამ დაუხშო ამ ძვირფას ჭაბუკს შეგნება ნეტარებისა?!..

— იქნება იგი მხოლოდ ქანდაკებაა მოძრავი, მარმარილოდან კეთილკვეთილი, ჩვენად სამზერლად დაბრმავებული...

— ან იქნება ჩემი სიმშვენიერე არ არის სრული, ჩემი სურვილი არ არის მგზნებარე; ჩემი შთამომავლობა მისთვის უღირსია. ან იქნება სიყვარულის ცეცხლი ჩემი არ არის ისეთი მწვავი, რომ გაალხოს მისი გული, გაადნოს იგი, აადუღოს, სამოქმედოდ ააქაფქაფოს! ჰკვირობდა კეკლუცთაშორის განთქმული თებრონია, რომელს გული შეჰვარდნოდა საკვირველ ახალგაზრდაზედ და უცეცხლოდ იწოდა მისი ეშხით, იტანჯვებოდა იქვე, მის ახლო, მისგან უსმენი, მისგან თითქო მთლადაც უჩინარი.

— ქალო ლამაზო, მშვენებით სრულო, გათქმულო რაინდთაც ეშხითა მწველო, ერიდე გრიგოლას! ის ვერა ჰხედავს ხორციელ ბუნებას შენს სიკეთით სავსეს: არ უსხან თვალნი მის სახილველად. ის ჰხედავს მხოლოდ შენი სულის სიძლიერეს, ფოლადისებურ მის სიმტკიცეს და ეს საშიშია შენთვის.

— როგორ?

— იგი მიაქცევს შენს სიყრმეს იმ უხილავ მიჯნურისაკენ, რომელს დაუმოწმებია მისი ნებისყოფა, რომელს ეტრფის ის, უღაღადებს, შესწირავს მუხლმოდრეკილი; რომლის მსახურებისთვის დაივიწყა ქვეყნიერება, მთელი სამყარო. იმ მიჯნურმა უხილავმა თავისუფალ ჰყო იგი სიმღერათაგან ჭაბუკთასა, ყოვლისა აღრევისაგან კაცთასა; განამარტოვა იგი თვისსა მის სადგურსა, ჰყო იგი ზეცისა კაცი და ქვეყნისა ანგელოსი სანატრი.

42.

— რომელთა მისი მიჯნური უჩინარი, მისი ტყვედ-ქმნილი მძლეთა მძლეველი, იგი მისი მზე, თვალთა მომჭრელი? მიჩვენე იგი: მსურს შევედარო! ჩემზედ უკეთ არის ალნაღები? დახე მკერდს თბილის ფიფქისაგან ქმნილს ვარდისფრად აციაგებულს; მკლავებს მომკლავებს ეშხითსა რტოებს; ტანს საროდ ნაზარდს შოლტივით მოქნილს; ამ თმას გიშრის ტევრებად ქოჩრილს. შემომხედე მე, სიცოცხლით სავსე ვნების საგუბარს!

— გიმზერ, მომწონხარ.

— და ამას ყველას ვწირავ საყვარელს, მსხვერპლად მივართმევ მას დასაწველად. რაინდი ბევრი თაყვანსა მცემს მე, ჩემი შეხედვა მათ ყველას ნეტარებას აგრძნობინებს ტკბილად დამწველსა, ჩემი ღიმილი სამოთხის კარს უღებს ოვითეულს მათგანს. ეგ რაღა არის, ვინ ღა არის ეგ, რომ ვერ ამჩნევს ჩემსა მილტოლვას, ჩემს არსებობას?! ან მიმითვისოს, ან... მოვკვდე მის ხელით, დამასამაროს!

— უძახდე, არ ესმის შენი! ურეკდე, არ განგიღოს შენ!

— რად არ?! უძრავად ჩასჩერებია წიგნებს მარად ჟამს მშრალი ეგრატი უფრო სანატრელია სიცოცხლით სავსე შვენებაზედ? სიტყვაი ბრძნული, თუნდ ღვთაებური, უფრო მიმზიდველია, ვიდრე ქმნილება ღვთისა ცხოვრებით სავსე, თვით ღვთის მშვენების მატარებელი? არა! ესეთი ქცევა გმობაა შემოქმედისა, დარღვევაა მისის მცნებისა, წინააღმდეგობა მის განგებისა. უნდა გაიღვიძოს მის გულმა ჩემთვის, გაახლოს თვალნი ჩემ სახილველად, განეხვნენ ყურნი ჩემ სასმენელად; მიწამდის უნდა დაიხაროს ქედფიცხელი ჩემ ფერხთ სამთხვევლად! უნდა აღეპყრნენ ხელნი მისნი წელს მოსაჰლობლად, უნდა...

— ჰა, ჰა, ჰა! წიგნიც ეტრატიც, სწავლაც, ყველა ეს, საწყალო თებრონიავ, მხოლოდ შუქია მის სატრფოსაკენ მიმავალ გზის მანათობელი; გასაკვირველი მისი გულისხმიერობა მხოლოდ ფრთეშია მიჯნურისადმი მსწრაფლ მიმზიდველი; სიბრძნე ყოველი მხოლოდ ხმალია სატრფოსაკენ გზისა მკაფელი. თითონ ის სათნოება, რომელი ჰარაკის ზრდასთან ერთად იზრდება მასში, მხოლოდ ჰუნეა ფეხმარდი მის გულის ვარდთან მაახლებელი. შენ იცი; სიტყვა მისი შეზავებულ არს მართლითა მადლისათა; რაჟამს იტყვის, ბრძნად აღაღებს პირსა თვისსა. ეს მოსაზრებული თქმა, ეს მარად მოზომილი სიტყვა თუ ქცევა იმ მის სატრფოს წინაშე ძრწოლით არის ზომილ-წონილი, რომ არც სიტყვამ, არც საქმემ, არც ფიქრმა რამ უხეშმა არ დააბრკოლოს იგი იმ ეკლიან გზაზედ სვლაში, რომელი მიიყვანს მას მის საყვარლის კარს.

— მერმე ვინ არის იგი მისი საყვარელი? მიჩვენე, კაცო ღვთისაო!

— შენ თითონ ჰნახავ მას, განიცდი, ეტრფიალები.

ღელავდა ქალწული, ულონოდ ეწამებოდა გრძნობა ნაჭარბი. წარჩინებული ოჯახის შვილი იყო თებრონია, სამცხეში სიმდიდრით და სიუხვით სახელგანთქმულისა. მისი მშობელნიც დედოფლის შორეული მისადევარნი იყვნენ, აშოტის დედისა. ქალი არა ერთხელ ყოფილიყო სტუმრად სამეფო ოჯახში. იქ გაიცნო გრიგოლი, დაუახლოვდა, მოეწონა; შეუყვარდა. განმარტოვებულ ჭაბუკისადმი ტრფიალს ჯერ უნივთო ხასიათი ჰქონდა, არა ხორცსხმული, მხოლოდ საოცნებო, შემდეგში, როცა უფრო მოიწიფა მკვიფრად ნაგები ქალწული, განსაზღვრილი სახე მიიღო მის სიყვარულმა, ხორციელი ნდომის ხატება. ისე ძლიერად ამოძრავდა მიჯნურობა სავსე აგებულობაში ქალისა, რომ ის ველარ უძლებდა თვის მისწრაფებას. სურვილთა მჩქეფარე ტალღებს აეტაცნათ ის და მიაქანებდნენ ჭაბუკის მძლავრად ნაგებ ბუნებისაკენ. ვერ კი სწვდებოდნენ!

**ვასილ ბარნოვი.**

(შემდეგი იქნება).

---


ახლად მოწყობილი სტამბა

„ხელოვნება"

ველიამინოვის ქუჩა № 20.

იღებს ყოველ-გვარ სასტამბო და საკაზმავ საქმეებს და გამოცდილ მუშათა ინიციატორობით ასრულებს სწრაფად და ხელოვნურად მეტათ დაკლებულ ფასებში.

საყურადღებოდ სოფლების წვრილ საკრედიტო ამხანაგობებს

სტამბა „ხელოვნებას" აქვს დამზადებული ყოველნაირი ბლანკები წვრ. საკრ. ამხანაგობებისთვის: წლიური ანგარიშები, თვიური ანგარიშები, ხელწერილები და სხვა.

(25—51—10)



სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა

დღეს, 13 მაისს ნ. ტაგენცკის ბენეფისი დღეს, 13 მაისს

წარმოდგენილი იქნება

მშვენიერი ელენე

14 მაისს, მეთორმეტედ „აბესალომ და ეთერი", 15 მაისს „ქ-ნი ნიტუში".


## მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან.

**მატარებლები თბილისიდან ფოთში:**

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან — დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

**ყარსიდან — ერევანში**

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

**თბილისში მომავალი მატარებლები.**

**ფოთიდან — თბილისში.**

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

**ბ ა ქ ო დ ა ნ**

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

**ნახიჩევანიდან და ყარსიდან**

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

**თბილისსა და მცხეთის შუა**

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

**მცხეთიდან მოდის**

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

**კახეთის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა. პირველ მაისიდან 1919 წლისა.**

საათები ნაჩვენებია თბილისის დროთი.

**თბილისიდან-მელაანამდე.**

საგარაკო მატარ. № 16. თბილისიდან გადის დილის 7 საათზე მელაანში მიდის 12 სათზე და 50 წუთზე.

საგარაკო მატარ. № 15 მელაანში უერთდება საფოსტო მატარ. № 3 და გამოდის იქიდან ნაშუადღევის 1 საათზე და 40 წუთზე.

**თბილისიდან-თელავამდე.**

საფოსტო მატარ. № 4. თბილისიდან გადის დილის 10 საათზე თელავში მიდის 7 საათზე და 35 წ.

**თელავიდან-თბილისამდე.**

საფოსტო მატარ. № 3. თელავიდან გამოდის დილის 9 საათზე და 30 წუთზედ მელაანში უერთდება საგარაკო მატარებელს № 15 და მოდის თბილისში საღამოს 7 საათზე და 15 წუთზე.

**გურჯაანიდან-წყნორის-წყლამდე.**

მატარებ. № 6. გურჯაანიდან გადის საღამოს 6 საათზე წნორის-წყალში მიდის საღამოს 7 საათზე.

**წნორის-წყლიდან გურჯაანამდე.**

მატარებელი № 5. წნორის-წყლიდან გამოდის დილის 9 საათზე და 50 წუთზე გურჯაანში მიდის დილის 11 საათზე.

(2—54—2)


ექიმი

ა. მ. პაატაშვილი

იღებს შინაგან და ბავშთა სნეულებით ავადმყოფებს, ყოველ დღე, გარდა შაბათისა, საღამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 43 (ყაზბეგის და გუნიბის ქუჩ. კუთხე, სახლი კახიძისა).

(25—2324—2)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის-ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და ...სევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—17—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის

ალექსანდრე დავითის ძის

ჰაჯილიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი

ე. ა. მოსსე

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სალსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირას და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.

50—2119—48


იამხედრო სამინისტროს სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.